პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 მარტი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 60 (9471) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კვირა
# 5
აპრილი

**7 აპრილი** ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა. ფიზკულტურა და სპორტი — ეს, პირველ ყოვლისა, ჯანმრთელობაა. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ამ თარიღთან დაკავშირებით ტარდება მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები. ჩვენს რესპუბლიკაში უკვე რამდენიმე წელია აპრილის პირველ კვირაში ეწყობა „ჯანმრთელობის დღე“. სპორტულ ბაზებზე, საცხოვრებელი ადგილების მარტივი ტიპის მოედნებზე, კულტურისა და დასვენების პარკებში, საზოგადოებრივი დასვენებისა და თავშეყრის ადგილებში, ბუნების წიაღში, მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობით იმართება მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები და ტურისტული ლაშქრობები. წელს ეს ღონისძიება ჩატარდება 5 აპრილს და მიეძღვნება ჯანმრთელობის მსოფლიო დღეს.

საერთო პასუხისმგებლობა და კოორდინაცია ევალებათ ადგილობრივ სპორტკომიტეტებს. მათ უნდა შექმნან „ჯანმრთელობის დღისათვის“ მზადებისა და ხელმძღვანელობის შტაბი, დაამტკიცონ სამუშაო გეგმა. გამოყონ თითოეული ღონისძიებისათვის პასუხისმგებელი კონკრეტული პიროვნება და 6 აპრილს მოისმინონ მათი ანგარიშები. გაწეული მუშაობის შეჯამება-შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი მასობრიობაა. შტაბმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს 5 აპრილისათვის ყველა ტიპის სპორტული ბაზების და ღონისძიებების მასპინძელი სხვა ობიექტების მზადყოფნას. ამ საკითხზე შტაბის სხდომამ საგანგებო შემაჯამებელი თათბირი უნდა ჩაატაროს 8 აპრილს, პარასკევს.

როგორც მზადების, ისე თვით ღონისძიების მსვლელობისა და შედეგების შესახებ ყველა საკითხზე ინფორმაციები დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნოს საქართველოს სპორტსახკომში ან „ლელოს“ რედაქციაში. შეგიძლიათ დაგვირეკოთ: 93-97-50, 93-97-55.

# შეიქმნა ბეისბოლის რესპუბლიკური ფედერაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გუშინ** თბილისში გაიმართა ბეისბოლისა და სოფტბოლის რესპუბლიკური ფედერაციის დამფუძნებელი კრება. ფედერაციის პირველ პლენუმზე საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს უფროსი ზეზვა ლულუნიშვილი. ქართველ ბეისბოლისტებს დახმარება აღუთქვეს პრეზიდიუმის წევრებმა: სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის“ გენერალურმა დირექტორმა ნუგზარ კახიშვილმა (თავმჯდომარის მოადგილე) და სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ თავმჯდომარემ ნუგზარ ერაძემ.

რეპლიკა

# გაუგზავნელი დეპეშები და ნამხდარი საქმე

ადამიანებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა შორ მანძილზე წერილობითი ინფორმაციის უსწრაფესად გადაცემა რეალურ ამბად იქცა. დეპეშებზე მოგახსენებთ. დღესაც კი, როცა ინფორმაციის გადაცემამიღების მრავალნაირი საშუალება არსებობს, დეპეშას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მაგრამ შეიძლება თუ არა კაცს ყოველთვის ჰქონდეს საკომუნიკაციო ურთიერთობის ამ ნაცადი საშუალების იმედი? ეს რა შეკითხვააო, იტყვის ზოგიერთი. ფოსტამ შეიძლება დეპეშაში ტექსტი დაამახინჯოს და ამით შინაარსიც კი შეუცვალოს, გვიან გაგზავნოს და გვიან მიიღოთ, მაგრამ... ჩვენ ახლა ისეთ უნიკალურ შემთხვევაზე გვექნება საუბარი, როცა ფოსტა დეპეშებს გადასაცემად იღებს და... არ გზავნის.

არ იფიქროთ, რომ ასეთი რამ სადღაც ცხრა მთას იქით ხდება, სადაც ჯეროვანი კონტროლის დაწესება არ ხერხდება. მაგრამ ამას თავი დავანებოთ. თურმე უპასუხისმგებლობა თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებსაც შეუძლიათ გამოიჩინონ, თუკი უფროსები არ უფროსობენ და ხელქვეითები თავს იმის უფლებასაც კი აძლევენ, დეპეშები საერთოდ არ გაგზავნონ.

დედაქალაქის 62-ე საფოსტო განყოფილებაში, მაგალითად საქართველოს სპორტსახკომიდან გასაგზავნ დეპეშებს ზოგჯერ დიდი დაგვიანებით, ზოგჯერ კი სულაც არ გადასცემენ. ფოსტის თანამშრომელს ც. დუგლაძეს ათობით გაუგზავნელი დეპეშა აღმოუჩინეს. სწორედ მისი „დამსახურებაა“, რომ სულ ახლახან თბილისში მოსკოვიდან საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტების სემინარზე რეგიონებიდან მწვრთნელები არ ჩამოვიდნენ. უფრო ადრე ფეხბურთის მსაჯებმა, ცხენოსნობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე გამოძახებულმა სპორტის მუშაკებმა შეტყობინება ვერ მიიღეს. რამდენჯერმე გუნდი ვერ გაემგზავრა შეჯიბრებაზე... რომელი ერთი ჩამოთვალოთ. რაკი დეპეშების იმედი აღარ აქვთ, სპორტსახკომის მუშაკები ტელეფონით უკავშირდებიან რეგიონებს. ორმაგად იხარჯება თანხები. მაგრამ დეპეშა ხომ დოკუმენტია, რომელიც საქმეში უნდა ინახებოდეს, ზეპირი სიტყვა სადღა შეინახონ? ამას გარდა, ყოველდღიურად უამრავი სხვისი წერილი მიაქვთ სპორტსახკომში და მათი ზუსტი მისამართით გადაგზავნა ზედმეტ დროს ართმევს კომიტეტის თანამშრომლებს.

რა პოზიცია უჭირავს ფოსტის გამგეს რ. ახპახიძეს?

— რა ვქნათ, ხომ ხედავთ, კარგად ვერ ვმუშაობთ, სხვა ფოსტას მიემაგრეთ, — უპასუხა სპორტსახკომის პასუხისმგებელ თანამშრომელს გამგემ.

ხომ არ აჯობებდა ფოსტის თანამშრომლებს ჯამოეცვალათ სამუშაო?

# გუშინ...

**საქართველოს** განათლების სამინისტროში გაიმართა სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებისთვის რესპუბლიკური ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბის სხდომა. დღის წესრიგში იყო სპორტული ტანვარჯიში და ცურვა. ითქვა, რომ ორივე სახეობაში მზადება დროულად დაიწყო, მაგრამ, კონტინგენტი, სამწუხაროდ, სუსტი აღმოჩნდა, რის გამო მწვრთნელებს თამაშებში ამ გუნდების კარგად გამოსვლის იმედი არა აქვთ.

## სსრ კავშირის ზონალური პირადი პირველობა ცხენოსნობაში



**როგორც** ვიუწყებოდით, თბილისში ჩატარდა სსრ კავშირის ზონალური პირადი პირველობა ცხენოსნობაში. მას უნდა დაესახელებინა ის მხედრები, რომლებიც საკავშირო შეჯიბრების ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ. სამივე სახეობაში (ცხენის გაწვრთნა, ორჭიდი, დაბრკოლებათა გადალახვა) გამარჯვება წილად ხვდათ საქართველოს სპორტსმენებს.

სურათზე თქვენ ხედავთ დაბრკოლებათა გადალახვაში გამარჯვებულ მხედარს — განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცხენოსნობის რესპუბლიკური სპორტული სკოლის აღსაზრდელს, გულრიფშელ იგორ მამფორიას.

იხ. მე-2 გვ.

# ოსტატობაც, საგზურიც. ჩემპიონობა?..

**მოჭადრაკე** ქალთა 43-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ბოლოსწინა, მე-16 ტურში საინტერესოდ წარიმართა გაგნიაშვილისა და კახიანის შეხვედრა. გაგნიაშვილმა დებიუტში პაიკი შესწირა მეტოქეს, მაგრამ კომპენსაცია ვერ მიიღო, შემდეგ მეორე პაიკიც დაკარგა, პარტიის ფინიშზეც არაზუსტად ითამაშა. კახიანმა ლამაზი კომბინაციით ეტლში ორი ფიგურა მოიგო და პარტია მისი გამარჯვებით დამთავრდა. ამრიგად, ქეთინომ შეასრულა ოსტატის ნორმა. გარდა ამისა, მან უკვე მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის ერთ-ერთი საგზური და ახლა საქართველოს ჩემპიონის სახელისთვის იბრძვის. სადუნიშვილ-ლანჩავას პარტიაში თეთრებმა მეოცე სვლაზე გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვეს, ლაზიერი დაკარგეს და დანებდნენ. ქ. მელაშვილ-ალიხანაშვილის პარტიაში ლაზიერები სწრაფად გაიცვალა. ალიხანაშვილი ეტლებით მეორე ჰორიზონტალზე შეიჭრა და გამსვლელი პაიკი შექმნა. უიმედო პოზიციაში მელაშვილს საათზე ალამი ჩამოუვარდა. თანდაშვილ-ხუგაშვილის პარტია ხუგაშვილისთვის უკეთეს პოზიციაში გადაიდო. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ნ. მელაშვილი-ნიკოლაძე 1:0, კობაიძე-მახარაძე 1:0. გადაიდო ხუციშვილ-ლაგვილავას და ქასოშვილ-ტერელაძის პარტიები.

16 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება: ქეთევან კახიანი — 11 (2), თამარ ხუგაშვილი — 11 (1; 15 შეხვედრიდან), ციური კობაიძე, ნინო მელაშვილი — 9,5-9,5 (1-1; 15-15-დან), ჰენრიეტა ლაგვილავა — 8,5 (2; 15-დან), ქეთევან მელაშვილი, ლია სადუნიშვილი — 8,5-8,5 (15-15-დან).

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

# „ჟალგირისი“ ჩემპიონია

**სუპერფინალის** მეორე მატჩმა მოსკოვის არმიელთა და კაუნასის „ჟალგირისს“ შორის, რომელიც ამჯერად მოსკოვში ჩატარდა, კალათბურთში ქვეყნის 1987 წლის ჩემპიონი ვერ გამოავლინა. დავა ერთი დღით გადაიდო.

განმეორებითი მატჩი, რომელიც ალბათ მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა, „ჟალგირისმა“ მოიგო 70:67 (37:39). ლიტველთა შემადგენლობაში ამჯერად თამაშობდა ა. საბონისი, რომელიც ჯერ არ არის თავის ჩვეულ ფორმაში, მაგრამ გუნდს მაინც დიდი სარგებლობა მოუტანა.

მატჩი გამოდგა მეტად საინტერესო, მძაფრი და დაძაბული, ისეთი როგორიც ამ რანგის შეხვედრას ეკადრება. ბოლო წუთამდე არ იყო გარკვეული ვის დარჩებოდა გამარჯვება. ამ კრიტიკულ მომენტში საბონისმა ერთი ზუსტი სროლა შეასრულა და თავის გუნდს დამსახურებული გამარჯვება მოუტანა.

ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ: ხომიჩუსი („ჟალგირისი“) — 19 ქულა და ენდენი და ტიხონენკო (ცსკა) — 16-16 ქულა.

**გუშინ** მოსკოვში გაიმართა ამ გუნდების მესამე მატჩი. ანგარიშით 93:83 გაიმარჯვეს კაუნასელმა კალათბურთელებმა და საბჭოთა კავშირის 1987 წლის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

## მიმდინარეობს მოძრავი თამაშების საკავშირო კვირეული

# სარბიელზეა დიდ-პატარა

მოძრავი თამაშების კვირეულში მონაწილეობის მისაღებად კალინინის რაიონის სპორტკომიტეტმა რვა „დიდი გუნდი“ — რვა საბინაო-საექსპლუატაციო უბნის საკმაოდ მოზრდილი კოლექტივები ჩააბა, თითოეულის ღირსებას ბავშვებთან ერთად სხვადასხვა ასაკის სპორტის მოყვარულები იცავენ. ორგანიზატორებმა კვირეულის პროგრამაში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობები: მინიფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი შეიტანეს.

კიროვის პარკში გამართულ პირველ მატჩში, ერთმანეთს 61-ე და 62-ე საბინაო-საექსპლუატაციო უბნების ფეხბურთელები შეხვდნენ, მატჩები მიმდინარეობს ვარდისუბნის სპორტულ მოედანზეც.

მინიფეხბურთში „საკუთარ“ ტურნირს ატარებს „თბილწყალკანალი“, რომლის მეთაური ორგანიზაცია კალინინის რაიონში მდებარეობს. შეხვედრები ტარდება ყველა უბანზე, ქალაქის სხვადასხვა კუთხეში. ტურნირს რაიონის ფიზკულტურის ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდისტი სედა აბვერდოვა ხელმძღვანელობს.

ყველა ტურნირის ფინალური შეჯიბრება კვირეულის დასკვნით დღეს გაიმართება.

ჯუდე ქამუშაძე,
კალინინის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე.

# ნორჩ ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი

27, 28, 29 მარტს თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ა. კიკნაძის პრიზზე.

მონაწილეობენ: გფრ-ის, იტალიის, შვეიცარიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

დასაწყისი: 27 მარტს — 8, 28 და 29 მარტს — 11 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.



# ყველა საგზური ქართველ მხედრებს

**თბილისის** სახელმწიფო იპოდრომის დახურულ მანეჟში, როგორც ვიუწყებოდით, გაიმართა სსრ კავშირის ზონალური პირადი პირველობა ცხენოსნობაში. გამარჯვებული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში, რომელიც სულ მალე, აპრილში მოეწყობა მოსკოვში. ეს ასპარეზობა რთული გამოცდა იქნება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებისთვის, რადგან მოსკოვში თავს მოიყრიან საბჭოთა კავშირის უძლიერესი მხედრები.

ზონალურ პირველობაში მონაწილეობდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრები გუნდების წარმომადგენლები. შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ სომხეთის ცხენოსნები და ამით დაკარგეს საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება. თუმცა ეს უფლება ვერც აზერბაიჯანელმა სპორტსმენებმა დაიმსახურეს — მათ ძალზე სუსტად იასპარეზეს და ვერც ერთი საპრიზო ადგილი ვერ მოიპოვეს. ეს ფაქტი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ძლიერი იყო საქართველოს ნაკრები. სამაგალითოდ, ალბათ, ისიც იკმარებს, რომ წინაღობათა გადალახვაში „საქართველოს თასის" გათამაშებაში საასპარეზოდ გამოსული პირველივე ოთხი სპორტსმენი მოიხსნა შეჯიბრებიდან, რადგან ცხენები ვერ დაიმორჩილეს.

შეჯიბრებების პირველ დღეს გათამაშდა ტრადიციული „გახსნის პრიზიც", რომელიც ფოთელმა ცხენოსანმა, სპორტის ოსტატობის კანდიდატმა სერგეი ზინენკომ მოიგო ცხენ „ორლიკით".

ცხენის გაწვრთნის უმაღლეს კლასში ყველას აჯობა და საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ლიანა სტანკუსმა ცხენ რაფაელით. საპრიზო ადგილები დაიკავეს აგრეთვე თბილისელებმა ირინა კოზინამ (ბრეზენტი) და მარიანა მათიაშვილმა (ფორვარდი).

ორჭიდში, ორ სახეობაში, სამანეჟო სვლასა და წინაღობათა გადალახვაში პირველი ადგილი დაიკავა გულრიფშელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ლევონ ექსუზიანმა ცხენ ფორდით. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატებმა ხვიჩა ტუსიშვილმა (პროსპექტით) და ივანე ყურუამ (დრაგუნით).

„საქართველოს თასი" დაბრკოლებათა გადალახვაში ორ გიტად გათამაშდა. 14 სპორტსმენიდან ყველას აჯობა გულრიფშელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა იგორ მამფორიამ. პირველ გიტში მან საჯარიმო ქულების გარეშე გაიარა ცამეტწინაღობიანი დისტანცია ცხენი ორბიტით, მეორე გიტში 12 საჯარიმო ქულა მიიღო და საგრძნობლად ჩამოიტოვა მეორე და მესამე ადგილებზე გასული ზაზა გონჯილაშვილი (განათლების სამინისტროს სპეციალიზებული საცხენოსნო სპორტსკოლა (ცხენი მერკური) და მამუკა გიორგაძე (სპორტსახკომის საცხენოსნო ბაზა, ცხენი რუბინი).

**გიორგი ქორქია.**

### ხარვეზებზე — საჯაროდ!

# რას ვხედავთ სპორტულ ბაზებზე და როგორ აკმაყოფილებს გემოვნებას ის, რასაც ვხედავთ?

**რატომ არის, რომ ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ნაგებობათა გაფორმების იდეურ-აღმზრდელობითი, მხატვრული და კულტურულ-ესთეტიკური დონე ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებს? ქვემოთ ამ საკითხზე კონკრეტული მაგალითებით გვექნება საუბარი.**

რესპუბლიკის ცენტრალურ სპორტულ ბაზებზეც კი ხშირად შეხვდებით უგემოვნოდ შესრულებულ, უწიგნურად დაწერილ პლაკატებს, ტრანსპარანტებსა და ლოზუნგებს. მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ინტერიერების, დეკორატიული პანოებისა და სტელაჟების გვერდით ნახავთ კედლებზე წებოთი მიკრულ განცხადებებსა და აფიშებს... კრიტიკას ვერ უძლებს ფიზკულტურულ-სპორტული ღონისძიებების რეკლამა — აფიშები, მოსაწვევები და სხვა.

ბევრ სპორტულ ობიექტზე საერთოდ უგულებელყოფილია ქართული ენა. ნაგებობათა კედლებს „ამშვენებს" არაფრისმთქმელი ლოზუნგები, არ არის ქართველ სპორტსმენთა მიღწევების ამსახველი სტენდები.

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი ერთ-ერთი სამაგალითოა რესპუბლიკაში. აქ არის მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებული ტრანსპარანტები, ლოზუნგები, მოწოდებები, სტენდები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გამოფენილი 18 სარეკლამო ფარიდან ქართულ ენაზე შესრულებულია მხოლოდ ოთხი, მეორე იარუსის წრიულად განლაგებული ლოზუნგების თემატიკა კი განახლებას მოითხოვს.

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეშიც ჭარბობს არაქართული წარწერები, ფოიე-ვესტიბიულები გადატვირთულია პლაკატებით, მთლიანად შესაცვლელია ზოგიერთი მოძველებული ლოზუნგი.

საქართველოს სპორტსახკომის სპორტნაგებობათა სამმართველოს ზამთრის საცურაო აუზის ფოიე-ვესტიბიული კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. შიგნით კი ჭარბობს დაბალ მხატვრულ დონეზე შესრულებული ლოზუნგები. ამავე სამმართველოს მძლეოსნობის მანეჟში გასაახლებელია პლაკატები და ლოზუნგები.

ჭადრაკის სასახლე ლამაზადაა გაფორმებული პანოებით, სტელაჟებით, ვიტრაჟებით და სტენდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ვერ ნახავთ იდეური და სპორტული ხასიათის ლოზუნგებს, მოწოდებებს, პლაკატებს.

„ბურევესტნიკის" სპორტული კომპლექსი. ეს ბაზა ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკაში. კარგად გამოიყურება მისი ფოიე-ვესტიბიულები, თუმცა, ამას ვერ ვიტყვით საცურაო აუზებზე, მწვრთნელთა ოთახზე და ათლეტური ტანვარჯიშის დარბაზზე. ფოიე-ვესტიბიულებში სტენდები მხოლოდ არაქართულ ენაზეა შესრულებული.

არასახარბიელო მდგომარეობაშია ცენტრალური ველოდრომი. სახელმოხვეჭილ ქართველ სპორტსმენთა წარმატებების ამსახველი 8-ჩარჩოიანი სტენდი ცარიელია, სპორტულ ღონისძიებათა საგანგებოდ დამზადებული კალენდარი, რომელზეც 1986 წელია აღნიშნული, შეუვსებელია, რეკორდების დაფა კი 1983 წლის მაჩვენებლებს გვამცნობს. 1,5 კმ-იან ველოტრასაზე ერთ ლოზუნგსაც ვერ ნახავთ. განახლებას მოითხოვს უშუალოდ ტრეკზე გამოფენილი ტრანსპარანტები.

ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსი. აქ ფოიე-ვესტიბიულები სამაგალითოდ, მაღალმხატვრულ დონეზეა გაფორმებული, რეკორდების ცხრილში შეტანილია 1987 წლის მაჩვენებლები. „ექსპრესინფორმაცია" მოსახლეობას საჭირო ცნობებს აწვდის, მაგრამ შესავსებია სტენდები, მთლიანად აუზის ტერიტორია სრულად არ არის ათვისებული.

გადახალისებას მოითხოვს სპორტის სასახლის ცენტრალური დარბაზი, მისი ფოიე-ვესტიბიულები და სარეკლამო სტენდები. განახლებას — ჭიდაობის ცენტრალური სპეციალიზებული სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსის, „შრომითი რეზერვების" სპორტული კომპლექსისა და სხვა ობიექტების ფოიე-ვესტიბიულები.

რეიდმა გვიჩვენა, რომ ჩვენი სპორტული ბაზების გაფორმებაში ბევრი ხარვეზია. შესაბამისმა ორგანიზაციებმა, სპორტულ ნაგებობათა ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიაქციონ მათდამი დაქვემდებარებული ბაზების გაფორმების იდეურ, მხატვრულ და ესთეტიკურ დონეს, სათანადო ადგილი დაუთმონ სკკპ XXVII ყრილობის მასალებს, და ა. შ.

აგვისტოში ჩატარდება სპორტული ნაგებობების მხატვრული გაფორმების დათვალიერება-კონკურსი. ვფიქრობთ, დრო იმისათვის, რომ ზემოთ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდეს, საკმარისია.

**სარეიდო ბრიგადა.**

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# მარცხს მარცხი მოსდევს

**კრიტიკული** ვითარება შექმნათ თბილისის „ბურევესტნიკის" ხელბურთელებს. გუნდმა თბილისის ტურში ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო. რა თქმა უნდა, სამივე მეტოქე ძლიერი იყო. ამ კოლექტივებს მიმდინარე გათამაშების სატურნირო ცხრილში მეორე, მესამე და მეოთხე ადგილები უკავიათ, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. თუ პირველ ორ დღეს ჩვენმა გუნდმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ლიდერებს, მესამე მატჩი ჩელიაბინსკის „პოლიოტთან" ფაქტიურად უბრძოლველად დათმო. ამ დღეს თავი ვერაფრით გამოიჩინეს ჩვენმა მთავარმა ბომბარდირმა მიხუტამ, თამაში არ გამოუვიდათ გამოცდილ ბურევესტნიკელებს დემეტრაშვილს, აბესაძეს, ტაბიძეს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაშავდა და თამაში, ბუნებრივია, უჭირს. ცხადია, მასპინძელთა სუსტი წინააღმდეგობით ისარგებლეს სტუმრებმა და მატჩის დასაწყისშივე დაწინაურდნენ — 7:0, მხოლოდ მეხუთე წუთზე შეძლეს თბილისელებმა (სარიბეკოვი) გოლის გატანა — 1:7. ტაიმი ჩვენმა გუნდმა 9-ქულიანი სხვაობით წააგო — 7:16, მატჩი კი „ბურევესტნიკმა" 10 ქულით — 20:30 დათმო.

როგორც მოსალოდნელი იყო, მინსკის ასკ-მ იოლად სძლია „ტირასპოლს" — 40:18 (18:8), ხოლო მაი-მ — კრასნოდარის სკიფ-ს — 23:18 (10:11).

გუშინ ტურნირის მონაწილენი ისვენებდნენ. შეჯიბრების დამთავრებამდე დარჩა მხოლოდ ორი ტური. დღეს „ბურევესტნიკი" კრასნოდარელ ხელბურთელებს ხვდება, ხვალ კი, ბოლო მატჩში, გათამაშების ერთ-ერთ აუტსაიდერს — „ტირასპოლის" სპორტულ კლუბს.



**თბილისის სპორტის სასახლეში ხელბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩებზე იმართება ლატარია, თამაშდება ურიგოდ მსუბუქი ავტომანქანის შეძენის ტალონი.**

**სურათზე თქვენ ხედავთ ხელბურთის გულშემატკივარს, თბილისელ ინჟინერს გიორგი ბურჭულაძეს, რომელმაც ლატარიის ერთ-ერთ გათამაშებაში გაიმარჯვა.**

# დღეს თბილისში...

**ლენინის** სახელობის სპორტდარბაზში იწყება 1971-1972 წლებში დაბადებულ კალათბურთელთა საკავშირო პირველობის ფინალური ტურნირი. გთავაზობთ ამ შეჯიბრების კალენდარს.

**26 მარტი.** 15.00. ლენინგრადი — ყაზახეთი, 16.30. უკრაინა — ლიტვა, 18.00. შეჯიბრების საზეიმო გახსნა, 18.15. მოსკოვი — საქართველო.

**27 მარტი.** 15.00. ლენინგრადი — უკრაინა, 16.30. მოსკოვი — ყაზახეთი, 18.00. საქართველო — ლიტვა.

**28 მარტი.** 15.00. მოსკოვი — ლიტვა, 16.30. ყაზახეთი — უკრაინა, 18.00. საქართველო — ლენინგრადი.

**29 მარტი.** 12.00. მოსკოვი — უკრაინა, 13.30. ლიტვა — ლენინგრადი, 15.00. ყაზახეთი — საქართველო, 16.45. შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

# ძიებით მიგნებული მშვენიერება

**ჭეშმარიტებაა,** რომ ჭადრაკის მიზიდულობის ძალის მთავარ საიდუმლოს მისი მრავალმხრიობა წარმოადგენს. საიდუმლოებას არ წარმოადგენს არც ის, რომ დღემდე მისი დანაწევრება არ ხდება, მით უმეტეს, ჯერჯერობით (ალბათ კიდევ დიდხანს იქნება ასე) არ არის დამტკიცებული, რას უნდა მივაკუთვნოთ იგი: მეცნიერებას, სპორტს თუ ხელოვნებას. საქმე ისაა, რომ სამივე მიმართულების მომხრეებს თავიანთი მოსაზრების დამამტკიცებელი უდავო საბუთი აქვს. მაგრამ არის ნაირსახეობა ჭადრაკისა, რომელიც კამათს არ იწვევს, საქმე ეხება საჭადრაკო კომპოზიციას, იგი უსიტყვოდ მიეკუთვნება ხელოვნებას. შემთხვევითი არ არის, რომ გამოჩენილ საბჭოთა ეტიუდისტს ა. ტროიცკის მინიჭებული ჰქონდა „რსფსრ-ს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" წოდება.

დასანანია, რომ დღეს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში სილამაზის საკითხს ჭადრაკში ნაკლები ყურადღება ექცევა. სხვათა შორის სილამაზის დემონსტრირება უფრო მეტ თაყვანისმცემელს შეძენდა ჭადრაკს, ვიდრე გაუთავებელი სადებიუტო მონოგრაფიები, რომლებიც მხოლოდ კვალიფიციურ მოჭადრაკეთათვის გასაგები ენით არის დაწერილი. ერთ-ერთი ასეთი წიგნი, რომელიც უეჭველია დაეხმარება მკითხველს საჭადრაკო პოეზიის შეცნობაში, არის თბილისში გამოცემული გია ნადარეიშვილის ეტიუდების კრებული „მშვენიერების ძიებაში".

გ. ნადარეიშვილი სამართლიანად ითვლება ქართული საჭადრაკო ეტიუდის ფუძემდებლად. პირველი ნაწარმოები მან 1938 წელს შექმნა. მომხიბლავი საჭადრაკო ეტიუდებისადმი მიძღვნილი თითქმის ნახევარი საუკუნე მეტად ნაყოფიერი გამოდგა. დღეს გია ნადარეიშვილი საჭადრაკო ეტიუდების მცირერიცხოვანი დიდოსტატების ოჯახის წევრია (საჭადრაკო კომპოზიციაში გაცილებით ძნელია დიდოსტატის ნორმის შესრულება, ვიდრე ჩვეულებრივ ჭადრაკში), მის სპორტულ აქტივშია: საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება და უდიდეს საერთაშორისო კონკურსებში არაერთი გამარჯვება. გ. ნადარეიშვილი იყო მაგალითის მიმცემი, ჩავთვალოთ თუნდაც „მწვრთნელი", ისეთი აღიარებული ეტიუდისტებისა, როგორიც არიან: დ. გურგენიძე, ვ. კალანდაძე ვ. ნეიძე, ი. კრიხელი და სხვ. მისი დიდი დამსახურებაა, რომ „ქართული ეტიუდი" გახდა აბსოლუტურად მართლზომიერი. 1947 წლიდან გ. ნადარეიშვილი არის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საჭადრაკო კომპოზიციის კომისიის უცვლელი თავკაცი, მრავალი წელია ფიდე-ს ერთადერთი ექსპერტია ეტიუდების დარგში.

უნდა ითქვას, რომ მთელ ამ ნაყოფიერ მუშაობას გ. ნადარეიშვილი ეწევა სამსახურისგან თავისუფალ დროს, რომელიც მას ძალიან ცოტა აქვს.

მინდა გავიხსენო 1969 წლის შემოდგომა, როცა ჯანმრთელობის გაუარესების გამო ბედმა თბილისში ჩამომიყვანა, აქ ძალიან გულთბილად შემხვდნენ, ჩამიტარდა საკმაოდ რთული და მძიმე ოპერაცია. თბილისელმა ექიმებმა აღმომიჩინეს მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება, აქ კი ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო საქართველოს დამსახურებული ექიმი, ქალაქის მთავარი ნევროპათოლოგი გია ნადარეიშვილი.

... გ. ნადარეიშვილის ზემოთ ხსენებული წიგნის პირველი ფურცლები დათმობილი აქვს ავტორის დიდ მეგობარს, მსოფლიოს ერთ-ერთ თვალსაჩინო დიდოსტატს მ. ბოტვინიკს. იგი ამ წიგნის ერთგვარ მეგზურადაც გვევლინება, თითქოს მკითხველს კარნახობს, თუ რომელ ფრაგმენტს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება. მაგრამ მე არაერთი ნაწარმოები ვიპოვე, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება მ. ბოტვინიკის მიერ რეკომენდებულ ეტიუდებს. მაგალითად, ბოტვინიკი მიგვითითებს ბრწყინვალე ეტიუდზე — № 174, ჩემის აზრით კი, არანაკლებ ეფექტურია შემდეგი ეტიუდი:



ყაიმი

სადავო არ არის, რომ საწყისი პოზიცია პრაქტიკული პარტიის ფრაგმენტს ნაკლებად ჰგავს, მაგრამ თეთრების ჩანაფიქრი აბსოლუტურად ფანტასტიურია, ხელი შეუშალო ერთი ან ორი ლაზიერის გაცოცხლებას — ძალზე ძნელია. ერთი შეხედვით, თვალშისაცემ სვლას 1. ეb1+? მc1 2. მe4 მივყავართ უეცარ წაგებამდე 2. ...მe3-ის შემდეგ. **1. მe4 d1ლ 2. მf2+ მფg1.** რასაკვირველია არ შეიძლება 2. ...მფg2, 3. მ:d1 c2 4. ეb2-ის გამო. **3. მ:d1 c2 4. მc3! მ:c3.** 4. ...dc-ს მივყავართ ყაიმამდე 5. მe4-ის შემდეგ. მაგრამ რა ვქნათ ახლა? „ლოგიკურ" სვლას 5. ე:c3 dc 6. მd4-ს მივყავართ 6. ...c1ლ 7. მe2+ მფf2 8. მ:c1 მg6+ 9. მფg7 მ:e7 10. მფf6 მc6 11. მფe6 მფe3 12. მფd5 მa5 თეორიულად მოგებულ დაბოლოებამდე. **5. კg5!!** პირველ შთაბეჭდილებას სასოწარკვეთილებამდე მივყავართ — კუ ხომ მაინც იკარგება **5. მf7+ 6. მფg8!!** ამდაგვარი საოცარი მიგნებებით ძალიან მდიდარია კრებული. ორიოდე სვლის შემდეგ გაირკვევა, თუ რატომ უნდა იდგეს მეფე მაინცდამაინც ამ უჯრაზე. **6. ...მ:g5 7. მ:d4 c1ლ 8. ე:c3!** და აღმოჩნდება, რომ თავისუფალ დაფაზე შავების ლაზიერი მახეშია გაბმული, მისი ნებისმიერი გადაადგილება პირველ ჰორიზონტალზე გამოიწვევს **9. ეc1+,** ხოლო **8. ...ლd2 (b2)-ის** შემთხვევაში თეთრები თავს შველიან შემდეგნაირად — **9.ეc1+ და 10. ეc2 (+).** თეთრი მეფის g7-ზე ყოფნის დროს კი შავებს დასკვნით პოზიციაში ჰქონდათ სვლა 8. ...მe6+

...თითქმის ყველა ეტიუდში, რომელიც გამოტანილია მკითხველთა სამსჯავროზე, შეიძლება იპოვო რაღაც არაჩვეულებრივი და მშვენიერი.

გ. ნადარეიშვილმა ეტიუდში შექმნა თავისი მიმართულება, სადაც გასაოცრად მოძრავი ორი მხედარი მოწინააღმდეგის ლაზიერს უქმნის გადაულახავ ზღუდეს. მსუბუქი ფიგურების ასეთმა პლასტიკურობამ უკარნახა ავტორს, ამ ეტიუდებისთვის „მხედრული" ეწოდებინა. მსგავსი ეტიუდები მრავლადაა წიგნში შეტანილი. მკითხველს საშუალება აქვს უკეთ გაიგოს ეტიუდისტის შემოქმედებითი მანერა, თუ გაეცნობა წიგნში მოთავსებულ ვ. ნეიძის საინტერესო სტატიას „სიტყვა ეტიუდისტზე".

გარდა მ. ბოტვინიკისა, გ. ნადარეიშვილს დიდი მეგობრობა აკავშირებს თანამედროვეობის მეორე გამოჩენილ დიდოსტატ ვასილ სმისლოვთან, მათ ერთადაც კი შექმნეს ლამაზი ეტიუდი. მათ მიერ გამოცემული წიგნების სათაურებიც კი რაღაცნაირად მსგავსნი არიან. სმისლოვმა თავისი რჩეული პარტიების კრებულს „ჰარმონიის ძიებაში" დაარქვა, ქართველი დიდოსტატისთვის კი მთავარია მშვენიერების ძიება და თავისი მიღწეული შედევრებით ჩვენი უდიდესი საჭადრაკო ფერმწერი დიდ სიამოვნებას გვანიჭებს.

**მიხეილ ტალი.**
**დიდოსტატი.**
**სპეციალურად „ლელოსთვის".**

ფეხბურთი

## საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის IV ტურის მატჩები.

### I ჯგუფი

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: ტროიანი („იმერეთი“), ქომეთიანი, გვიჩიანი („კოლხეთი“).

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 2:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი). გოლები: ქვილითაია, კ. ქარჩავა („სამეგრელო“).

განზრახ ბურთის ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს „სამეგრელოს“ ფეხბურთელი ე. დანგაძე.

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:1. მსაჯი ო. გუნთაძე (თბილისი). გოლები: მარღიევი, გაბელაია („სპარტაკი“), შონია („ეგრისი“).

„სქური“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 4:0. მსაჯი გ. გაბესკირია (სოხუმი). გოლები: აფხაზავა-2, კვირტია-2 („სქური“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს წალენჯიხელი დ. ჩალიგავა და თბილისელი დ. ცომაია.

„მადნეული“ (ბოლნისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 3:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი). გოლები: სილაგაძე, უგულავა-2 („მადნეული“).

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „სულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი). გოლი: გოგოლაძე („შადრევანი“).

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი). გოლები: ხუჯაძე, კიკნაძე („მეტალურგი“), ხარაზიშვილი („ივერია“).

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დინამო“ (გაგრა) 0:0. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს გაგრელი ა. რაგანიანი, ხოლო მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის — მისი თანაკლუბელი ლ. კოვალიოვი. გარდა ამისა, უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს „ქართლის“ მოთამაშე ჯ. მელაძე.

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0. მსაჯი მ. მალალურაძე (თბილისი).

ამ მატჩში ძალზე უწესრიგოდ იქცეოდნენ ყვარლელი ფეხბურთელები: უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გ. ფულიაშვილი, მსაჯთან კამათისთვის — თ. ტალახაძე და მეტოქესთან კინკლაობისთვის — ნ. მინდიაშვილი. გააფრთხილეს, აგრეთვე, ზუგდიდელი ე. ჰედია.

„სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კახეთი“ (თელავი) 1:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი). გოლები: ბართაია („სალხინო“), მაისურაძე („კახეთი“).

ახ. საფეხბ. სკოლა (თბილისი) — „დინამო-2“-„იმედი“ (თბილისი) 1:8. მსაჯი ე. ხოლაგავა (თბილისი). გოლები: ფერაძე, მიქაშავიძე-2 („დინამო-2“-„იმედი“), მაღრაძე (ახ. საფეხბ. სკოლა).

გააფრთხილეს ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის ფეხბურთელი მ. ფერაძე.

**განვლილი ტურის მატჩების შეხვედრათა ანალიზისას სიამოვნებით გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ წყალტუბოში, წალენჯიხაში და ჩხოროწყუში უამინდობისა და დიდთოვლობის მიუხედავად ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა, სპორტის მესვეურებმა, მოსახლეობამ ყველა ზომას მიმართეს, რათა რესპუბლიკური ჩემპიონატის შეხვედრები ნორმალურ პირობებში ჩატარებულიყო.**

### II ჯგუფი

#### I ქვეჯგუფი

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) 0:0, „ფოსტამტი“ (თბილისი) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 5:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „მშენებელი“ (რუსთავი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 0:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-2 (თბილისი) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 7:0, „მეტალისტი“ (რუსთავი) — „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) 1:0, მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობა — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:0, „სინათლე“-„სპორტინტერნატი“ (თბილისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:0, უნივერსიტეტი (თბილისი) — „მიონი“-35 (თბილისი) 0:0.

#### II ქვეჯგუფი

„მარაბდა“ (კოდა) — „თორი“ (ბორჯომი) 3:3, „მარაბდა“ (კოდა) — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) 2:0, „განთიადი“ (დმანისი) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 0:0, „ავტომობილისტი“ (გორი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 7:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:1, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „ვარძია“ (ასპინძა) 2:1, „ლიახვი“ (ცხინვალის რ-ნი) — „აბული“ (ახალქალაქი) 1:2, „განთიადი“ (კასპი — „ალგეთი“ (მარნეული) 1:1, „ბაგიათი“ (ჯავა) — „თორი“ (ბორჯომი) 0:4.

#### III ქვეჯგუფი

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 2:2, „ზანა“ (აბაშა) — „მამისონი“ (ონი) 1:1, „ორპირი“ (ტყიბული) — „იბერია“ (ქარელი) 0:0, „მეშაქრე“ (აგარა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 2:3, „ჰოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) — „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) 1:1, „მალაროელი“ (ჭიათურა) — „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) 3:0, „იმერეთი“ (წულუკიძე) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 1:0, ხდკ (სამტრედია) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 1:0.

#### IV ქვეჯგუფი

„განთიადი“ (ცხაკაია) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 1:1, „ნარინჯი“ (გონიო) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 1:0, „დვაბზუ“ (მახარაძე) — სუბტროპიკული ინსტიტუტი (სოხუმი) 1:1, „კოლხეთი-2“ (ფოთი) — „მზიური“ (გალი) 3:3, „ალიონი“ (გალის რ-ნი) — „კოლმეურნე“ (გაგრა) 2:1, „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) 1:1, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — უნივერსიტეტი (სოხუმი) 2:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 25 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შადრევანი“ | 4 | 4 | 0 | 0 | 8-3 | 8 |
| „სქური“ | 4 | 3 | 1 | 0 | 11-2 | 7 |
| „სამეგრელო“ | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 7 |
| „კოლხეთი“ | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| „მერცხალი“ | 4 | 2 | 2 | 0 | 5-0 | 6 |
| „ამირანი“ | 4 | 3 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| „დინამო“ გ. | 4 | 2 | 1 | 1 | 6-3 | 5 |
| „საპოვნელა“ | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 5 |
| „სალხინო“ | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 5 |
| „ქართლი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 5-4 | 4 |
| „დინ.-2“-„იმ.“ თბ. | 3 | 1 | 2 | 0 | 3-2 | 4 |
| „დურუჯი“ | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 4 |
| ფიზკ. ინსტ. | 4 | 1 | 2 | 1 | 3-4 | 4 |
| „მეტალურგი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 3 |
| „მადნეული“ | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 3 |
| „ეგრისი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 6-7 | 3 |
| „კახეთი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 5-9 | 3 |
| „არმაზი“ | 4 | 1 | 1 | 2 | 4-8 | 3 |
| „სპარტაკი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 2 |
| „დინამო“ ზ. | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| „სულორი“ | 4 | 0 | 2 | 2 | 0-4 | 2 |
| „იმერეთი“ | 4 | 0 | 1 | 3 | 3-8 | 1 |
| „ივერია“ | 4 | 0 | 0 | 4 | 3-7 | 0 |
| ახ. საფ. სკ. თბ. | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |

## ოლიმპიელთა გამარჯვება

**ბუდაპეშტი.** უნგრეთის დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირისა და უნგრეთის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა, ბურთი 63-ე წუთზე გაიტანა ლიუტიმ.

სსრ კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ხარინი, კეტაშვილი, სკლიაროვი, ლოსევი, იაროვენკო (აფანასიევი), ტიშჩენკო, ი. სავიჩევი, ვორობიოვი (ბროშინი), ნ. სავიჩევი (ბარანაუსკასი), მიხაილიჩენკო, ბოროდიუკი (ლიუტი).

## არ ივიწყებენ ვეტერანებს

### ლევ იაშინის სახელობისა

საბჭოთა კავშირის დინამოელთა საფეხბურთო გუნდების ტურნირი დაიწყო ქ. სამარყანდში, რომელიც გამოჩენილი საბჭოთა მეკარის ლევ იაშინის სახელობის თასზე იმართება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სამარყანდის, ბარნაულის, ბრიანსკის, ვოლოგდის, კიროვის, ლენინგრადის, მახაჩყალისა და მოსკოვის (მეორე გუნდი) კოლექტივები.

ტურნირი მარტის დასასრულამდე გასტანს.

### ვსევოლოდ ბობროვის მემორიალი

ცსკა-ს საფეხბურთო-მძლეოსნურ კომპლექსში სტარტი აიღო ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციულმა შეჯიბრებამ, რომელიც ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელის ვსევოლოდ ბობროვის ხსოვნას ეძღვნება.

მემორიალი წლეულს მეშვიდედ იმართება. მასში მონაწილეობენ ცსკა-ს (2 გუნდი), მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდავეთის, სომხეთის, ლიტვისა და ლენინგრადის გუნდები.

## ტრაპატონი ცდილობს

მილანის „ინტერი“ თანდათან აუარესებს თამაშს. მას შემდეგ, რაც ზედიზედ სამი თამაში წააგო, საქმე შესაძლოა იქამდე მივიდეს, რომ გუნდი გაისად შეიძლება ევროპული ტურნირების მიღმაც კი დარჩეს.

ცნობილი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი, რომელიც „ინტერს“ ამ სეზონში ჩაუდგა სათავეში, გამოსავალს ეძებს. არგენტინის ნაკრების ყოფილი კაპიტანი პასარელა, ცხადია, ძველებურად ველარ თამაშობს, რუმენიგეც ხანდაზმულია, [illegible] იგი მომავალი სეზონიდან კლუბს ტოვებს.

— ჩემი ნება რომ იყოს, უყოყმანოდ მოვიწვევდი კიევის დინამოელ იაკოვენკოსა და ბესონოვს, — ამბობს ტრაპატონი, — უფრო რეალურად თუ ვიმსჯელებ, მომავალი წლიდან „ინტერში“ ბერგამოს „ატალანტის“ ნახევარმცველის, 27 წლის მარინის გადმოყვანას ვაპირებ.

## ბეკენბაუერის ახალი თანაშემწე

გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელ ფ. ბეკენბაუერს ახალი თანაშემწე ეყოლება. ეს არის 38 წლის ჰოლგერ ოსიეკი — ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი.



ოსტატობის კარიბჭესთან

# დასახული მიზნისკენ

**თანამედროვე** სპორტის გაახალგაზრდავების ტენდენციებს თუ გავითვალისწინებთ, მან ძალიან გვიან, მეხუთე კლასში დაიწყო მცირე ჩოგნით ვარჯიში, მაშინ, როდესაც ამ სახეობაში, სპეციალისტთა აზრით, 6-7 წლის ბავშვებში იღვიძებს ის ინტერესი, რომელიც დიდი სპორტისაკენ მიმავალ ძნელ, წინააღმდეგობით აღსავსე გზას დააძლევინებს მათ. თითქოს ეს ასეა, მაგრამ... 15 წლის სოხუმელმა პაატა ფირცხალავამ უკვე აალაპარაკა სპეციალისტები.

როცა სექციაში მივიდა, მწვრთნელებს მისი მონაცემების აღმოჩენა არ გასჭირვებიათ. რატომ? ჯერ ერთი მამის მიბაძვით ფეხბურთს თამაშობდა (უფროსი ფირცხალავა სპორტის ოსტატია, არმიაში სამსახურის დროს ერთ-ერთ საკლუბო გუნდში გამოდიოდა), პაატა ჯერ ნახევარმცველი, შემდეგ კი მარცხენა გარემარბი იყო ცნობილი სოხუმელი მწვრთნელის გიორგი იოლჩიდის გუნდში, რომელმაც ქალაქის ჩემპიონობა მოიპოვა. რაც შეეხება მაგიდის ჩოგბურთს, მხოლოდ თავს თუ იქცევდა ეზოში დადგმულ მაგიდასთან... დიახ, ჩოგბურთის სექციის კარი გვიან შეაღო (მეხუთეკლასელები უკვე პირველი თანრიგოსნები და სპორტის ოსტატობის კანდიდატები არიან). და მაინც მწვრთნელმა როლანდ მურუსიძემ ურჩია ჩოგბურთისათვის სერიოზულად მოეკიდა ხელი. ნიჭიერ მოზარდს არც მაშინ დაუხევია უკან, როცა 1983 წელს საქართველოს პირველობაზე თანატოლებმა გვარიანად დაჯაბნეს — 8-10 ქულით მოუგეს სატურნირო შეხვედრები და პაატა საბოლოოდ 25-ე ადგილს „დასჯერდა“. მარცხმა ყმაწვილი მეტად წააქეზა: გადაწყვიტა, ნამდვილი ჩოგბურთელი გამხდარიყო. გადაწყვეტილებას არც მალავდა — ანკეტა-გამოკითხვაში პირდაპირ ჩაწერა: „მინდა გავხდე ევროპის ჩემპიონი“... და გადაება ერთმანეთს წვრთის მომქანცველი დღეები. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, ისევ მოზარდთა რესპუბლიკურ პირველობაზე მათ წინააღმდეგ მოუწია გამოსვლა, ვისთანაც 8-10 ქულით აგებდა შეხვედრებს.

პაატამ რევანში აიღო და საქართველოს ჩემპიონი გახდა. მალე მშობლიურ სოხუმში გამართულ საკავშირო ტურნირზე ფირცხალავას რესპუბლიკის მეორე ნაკრების ღირსების დაცვა ანდეს. სწორედ მაშინ მიიპყრო საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელის ჯემალ მელაძის ყურადღება. სპორტსმენის შემდგომი ზრდა ამ სპეციალისტის სახელთანაა დაკავშირებული.

ისე, როგორც ფიგურულ ციგურაობაში, მაგიდის ჩოგბურთში წარმატებას ნაადრევად არავინ იმკის. დრო კი მწვრთნელისა და შეგირდის სურვილის საწინააღმდეგოდ ჩქარა გადიოდა. საჭირო გახდა მეტი მუშაობა. ფირცხალავა თბილისში გადმოვიდა და ფიზკულტურის ტექნიკუმში ჩაირიცხა. დღის რეჟიმში გაჩნდა დილის კროსები, ფიზიკური მზადება, სიმძიმეების აწევა. ეს ის დრო იყო, როცა თემურ რამაზაშვილმა და შემდეგ კი თვით სარქის სარხოიანმა სარბიელი დატოვეს და ჩვენში ეს სახეობა, როგორც იტყვიან, ჩავარდა. საკავშირო ტურნირებში საქართველოს ჩოგბურთელები მე-14-მე-15 ადგილებს იყოფდნენ ყირგიზეთის გუნდთან ერთად. საჭირო იყო ნაბიჯის წინ გადადგმა. ჩვენ ჩოგბურთელთა უკეთ მომზადების მიზნით უკრაინიდან მოვიწვიეთ მწვრთნელი სერგეი ხოლოდარი, რომელიც მთელი მონდომებით შეუდგა საქმეს და გუნდის თითოეული წევრი საბრძოლველად განაწყო. წინ იყო ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშები. ჩვენმა უმცროსმა ასაკის ჩოგბურთელებმა ლენინგრადში ყველა გააოცეს — ფინალისაკენ მიმავალი გზიდან ზედიზედ ჩამოიცილეს მეტოქეები, მშრალი ანგარიშით 3:0-3:0 დაამარცხეს ტაჯიკები და თურქმენები და მერე ლიტველებსაც სძლიეს. გუნდის სული და გული იყო მისი კაპიტანი პ. ფირცხალავა. ფინალში საქართველოს ნაკრებმა ერთნაირი ანგარიშით 3:0 დაამარცხა ესტონეთის, ყაზახეთის სპორტსმენები და მეხუთე საპატიო ადგილზე დამკვიდრდა. პაატამ შესანიშნავი სტილით მოუგო ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს დ. გუსევს. სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვ. ვორობიოვმა მისი გვარი ჩაინიშნა. იმავე წელს გადაწყდა ციკლური მზადება დაეწყოთ მომდევნო სამი წლისათვის, ე. ი. მოზარდთა II საკავშირო თამაშებისათვის. მომავალი სტარტებისათვის მზადების მიმდინარეობის პირველი შემოწმება იყო წელს, იანვარში თბილისში გამართული პირადი საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც მასპინძელთა ღირსებას ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელები პ. ფირცხალავა და ვ. ივანჩენკო იცავდნენ. მართალია, ისინი მაღალ ადგილებს ვერ შეწვდნენ, მაგრამ შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ჩვენი ჭაბუკები, ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით, სსრ კავშირის წამყვან სპორტსმენებს მიუახლოვდნენ. მხოლოდ სატურნირო გამოცდილება არ ჰყოფნიდათ. თბილისისას პანევეჟისის დიდი საკავშირო ტურნირი მოჰყვა უძლიერესთა მონაწილეობით. ამ-



ჯერად სარბიელზე არ გამოვიდნენ ის საბჭოთა სპორტსმენები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. იქ პაატამ ჩოგბურთის მოყვარულებს სიურპრიზი შესთავაზა — სსრ კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის წყვილთა ტურნირში გამარჯვებულ კრასნოდარელ ევგენი სვეტლიჩნის ფარ-ხმალი დააყრევინა. იქვე დაამარცხა მასპინძელი-მეტოქეები ა. ბერეტა, რ. რაშუ. ეს წარმატებები იმის საწინდარი იყო, რომ ამ დღეებში ქ. კიროვში გამართულ პროფკავშირთა საკავშირო ჩემპიონატში ფირცხალავა კარგად უნდა გამოსულიყო. ამ აჩპარეზობისათვის ფირცხალავა-ივანჩენკოს დუეტი საგანგებოდ ემზადებოდა. ჩემპიონატში 1969 წელს დაბადებულნი გამოდიოდნენ, რომელთაც ჩვენი წყვილი ასაკითაც და გამოცდილებითაც ჩამორჩებოდა. მაგრამ აი, სარბიელზე გასვლის წინ პაატა ფირცხალავას ოქროს მედლის მოპოვების რეალური შანსი გაუჩნდა — ოდესელმა მწვრთნელმა ფ. ოსეტინსკიმ წყვილთა გამოსვლებში მას თავისი მოწაფის ვ. ზუბარევის პარტნიორობა შესთავაზა. ქართველმა ჩოგბურთელმა უარი განაცხადა და თანაგუნდელ ივანჩენკოსთან ერთად გამოვიდა, იქნებ ოქროს მედალი მართლაც დაკარგა, მაგრამ რაკი საქმე რესპუბლიკის ინტერესებს ეხებოდა, თანაგუნდელთან გამოსვლა არჩია.

ფირცხალავა-ივანჩენკოს წყვილმა სძლია რუსეთის გუნდის წამყვან წყვილს ე. პოლონეევ-გ. რუბინშტეინს და ოთხეულში გასასვლელად მოსკოვისა და სსრ კავშირის ნაკრების წევრების სერგეი ტიაპკინ-მაქსიმ შმირიოვის წყვილს შეხვდნენ. ეს შეხვედრა საბედისწერო გამოდგა თბილისელთათვის. ანგარიში მათ მიჰყავდათ — 20:19, მაგრამ ივანჩენკოს ნერვებმა უმტყუნა და ჩვენი ჩოგბურთელები დამარცხდნენ — 21:23.

კიროვიდან პაატა ხელმოცარული მაინც არ დაბრუნებულა: გორკელ თანაკლუბელ (ფირცხალავა „სპარტაკის“ წევრია) ელენე მედვედევასთან ერთად შერეულ წყვილებში ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ტურნირზე ყველას ყურადღება ქართველი სპორტსმენის მეტად ორიგინალურმა ჩაწოდებამ მიიპყრო. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, მსგავსი დარტყმა მთელს კავშირში არავის აქვსო... ვნახოთ, რას მოგვიტანს ეს „დარტყმა“, რომელზეც პაატას გულშემატკივრები და მწვრთნელები დიდ იმედებს ამყარებენ.

**უშანგი ჟიჟინაძე.**

საბავშვო ბაღიდან იწყება...

# აღმზრდელები მერხთან

**ნათქვამია:** ბავშვის აღზრდა მისი დაბადების დღიდანვე უნდა დავიწყოთო. მორალი ნათელია: ბავშვის აღზრდას ადრეული ასაკიდანვე უნდა შევუდგეთ. მაგრამ იმისათვის, რომ ჰარმონიულად განვითარდეს, ბავშვი ფიზიკურადაც უნდა გამოიწრთოს. ამიტომაა დღეს ყველა სამშობიარო სახლში ჩვილებს, ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით, რომ ავარჯიშებენ. საბავშვო ბაღებშიც წინა პლანზეა წამოწეული—დღის რეჟიმში საპატიო ადგილი ეთმობა მას. თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობს და, სპეციალისტები არ გვყავნან, ისინი, ვინც მეცნიერულად სწორად შერჩეულ ვარჯიშებს ჩაუტარებს პატარებს. სწორედ ეს ვითარება გაითვალისწინა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატმა (რექტორი ომარ გოგიაშვილი), რომელსაც ჩვენს ქვეყანაში პირველმა გადაწყვიტა საბავშვო ბაღებისთვის კვალიფიციური კადრების მომზადება. ამ საშვილიშვილო საქმეს მაშინვე დაუჭირა მხარი რესპუბლიკის სპორტსახკომმა და განათლების სამინისტრომ. და აი, წელს ფიზკულტურის ინსტიტუტი სკოლამდელთა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა პირველ ჯგუფს გამოუშვებს. თუმცა 15 კაცი, რომელიც წელს ამ პროფილით დაამთავრებს უმაღლეს სასწავლებლებს, ზღვაში წვეთია იმ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რასაც დღევანდელობა გვიყენებს. ამიტომ ფიზკულტურის ინსტიტუტმა კიდევ ერთი, სიახლის განხორციელება ითავა: გადაწყვიტა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ერთი თვით მოეწვია საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელები.

გვესაუბრება ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის დეკანი დოცენტი — **თორნიკე სანებლიძე.**

17 თებერვლიდან ჩვენთან მეცადინეობს კახეთის ზონის 30 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი. უკვე ჩავატარეთ თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები (სულ 156 საათი), პრაქტიკისთვის ვეწვიეთ 27-ე, 63-ე და 75-ე ბაგა-ბაღებს. ამ ერთი თვის განმავლობაში აღმზრდელებმა ბევრი რამ სასარგებლო აითვისეს. წელს ამგვარი წესით საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული 100-მდე სკოლამდელი აღმზრდელი აიმაღლებს კვალიფიკაციას. გარდა ამისა, ახალი სასწავლო წლიდან განზრახული გვაქვს შევქმნათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული ბრიგადები, რომლებიც რაიონებში გაემგზავრებიან და ადგილებზე ჩაატარებენ საჩვენებელ ვარჯიშებს, ახალ მეთოდებს გააცნობენ აღმზრდელებს. ამისათვის ვამზადებთ და ახლო მომავალში გვექნება სპეციალური სახელმძღვანელოები.

ახლა სიტყვას გადავცემთ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მეთოდისტს ფიზიკურ აღზრდაში **ცირა მაჭარაშვილს:**

— თითოეულმა ჩვენმა „სტუდენტმა" ერთი თვის განმავლობაში 7 პრაქტიკული მეცადინეობა ჩაატარა. ვფიქრობ, ეს მათ მუშაობაში დაეხმარებათ. მომავალში განზრახულია სკოლამდელთა ფიზიკური აღზრდის თემაზე შეიქმნას სასწავლო ფილმები, მაგრამ ამისთვის დაგვჭირდება სპორტული ინვენტარი, დარბაზები, საცურაო აუზები. მართალი გითხრათ, ჯერჯერობით ძალიან გვიჭირს. საქმე საკმაოდ შრომატევადია და შესაბამისი სამინისტროების დახმარების გარეშე ალბათ რაიმე ხელშესახები შედეგების მიღწევა გაგვიჭირდება.

აუდიტორიაში რამდენიმე კურსდამთავრებულს გავესაუბრეთ.

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის № 1 საბავშვო ბაღის აღმზრდელი **ნინო ბარხევანიშვილი:**

— იმან, რაც ერთი თვის განმავლობაში თბილისში ვნახეთ და გავიგეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მართალია, ისეთი პირობები არ გვაქვს, მაგრამ ვფიქრობ, შევძლებთ აქ მიღებული ცოდნა-გამოცდილება ჩვენს პირობებშიც გამოვიყენოთ. ჩვენთან 1990 წლისთვის უნდა აშენდეს ბაგა-ბაღი, კარგი იქნება თუ მისი მშენებლები მოწინავეთა გამოცდილებას გაითვალისწინებენ.

საგარეჯოს პირველი საბავშვო ბაღის მეთოდისტი **ნინო როჭიკაშვილი:**

— ჩვენს ბაღს ღია სპორტული მოედნები კი აქვს, მაგრამ ცალკე სპორტული დარბაზი არა. შეგვპირდნენ აგიშენებთო. ერთი სული მაქვს, როდის ჩავალ საგარეჯოში, რომ აქ მიღებული ცოდნით ჩემს მუშაობაში ვიხელმძღვანელო.

კურსდამთავრებულებს ბოლო მეცადინეობაზე სათანადო მოწმობები გადასცეს. წარმატება ვუსურვოთ აღზრდილებს თავიანთ ასპარეზზე.

**ჯემალ კახრაძე.**

● ● ●



ს უ რ ა თ ზ ე: ბაგა-ბაღების აღმზრდელთა პირველი გამოშვების ჯგუფი ბოლო მეცადინეობაზე.

# ორი რეკორდი

ამ ერთი თვის წინ საქართველოს ათლეტთა შესარჩევ ტურნირში შოთა ბეჟუაშვილმა კლასიკურ წოლჭიმში 250 კგ. ასწია და 9 კგ-ით გააუმჯობესა (არაოფიციალურად) მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონის იური ზაიცევის საკავშირო რეკორდი. ახლახან შოთამ ქ. შაულიაიში (ლიტვა) საკავშირო ტურნირზე თავისი პირადი მიღწევა 5 კგ-ით დაამძიმა



და სამჭიდის ჯამში გაუსწრო სოციალისტური ქვეყნების მრავალგზის ჩემპიონს იური ჩელობიტჩიკოვს.

კარგად გაართვა თავი დასახულ ამოცანას მეორე ქართველმა ათლეტმა ვლადიმერ ბედიაშვილმაც. მან ძალისმიერ ამოწევაში 270,5 კგ. დაძლია და ნახევარი კგ-ით გააუმჯობესა საკავშირო მიღწევა. სამჭიდში ვლადიმერმა მეორე ადგილი დაიკავა.

ს უ რ ა თ ზ ე: შოთა ბეჟუაშვილი.

კალათბურთის სამყაროში

# ყველაზე მაღალი

**კალათბურთის** სათამაშო მოედნებზე ხშირად გვინახავს 220 სმ სიმაღლის მოთამაშეებიც კი, მაგრამ 230 სმ მართლაც ფენომენალურ სიმაღლედ გვეჩვენება. 230 სმ სიმაღლის მანუტე ბოლის — ნბა-ს, ყველაზე მაღალ კალათბურთელს, ამ ფოტოზე ხედავთ ნბა-ს ყველაზე დაბალ კალათბურთელ სპად უებთან (170 სმ) ერთად.

მანუტე ბოლი სუდანის სოფელ ჯოგრიალში თავისთვის მშვიდად ცხოვრობდა და ნახირს მწყემსავდა, ვიდრე მას ამერიკელმა სელექციონერებმა არ მიაგნეს. მიაგნეს და უმალ აშშ-ში უკრეს თავი. 1984 წელს მისი სახით მწვრთნელებს მომავლის ეგზოტიკური კალათბურთელი წარუდგინეს. როცა ბოლიმ შეატყო, რომ მისმა სიმაღლემ შთაბეჭდილება მოახდინა, მშვიდად განაცხადა: ეს რა არის, ბაბუაჩემი 236 სანტიმეტრი იყოო. აქვე დავძენთ, რომ ბოლის მამაც მაღალი ჰყავს (206 სმ), დედაც (201) და დაც (205) სმ).

სუდანელმა მწყემსმა მხოლოდ ერთი წელი დაჰყო ბრიჯპორტის უნივერსიტეტის გუნდში. იქ ისწავლა კალათბურთის თამაში. 1985 წელს ცნობილმა მაგნატმა დანიელ მაისენჰაიმერმა ახალი პროფესიული ლიგა, შეერთებული შტატების კალათბურთის ლიგა (უსბლ) დააარსა. თავდაპირველად ლიგაში 7 გუნდი გაერთიანდა, შარშან კი ეს რიცხვი 15-მდე გაიზარდა. სწორედ ამ ლიგის გუნდთან „როდ აილენდ ბულსთან" დადო მანუტე ბოლიმ კონტრაქტი (რომლის მიხედვითაც 25000 დოლარი უნდა მიეღო). ამ გუნდის ყველაზე შედეგიანი (თითო თამაშში საშუალოდ 21 ქულა) მოთამაშე იყო კალათბურთის მოყვარულებისთვის უკვე კარგად ცნობილი სპად უები.

პირველივე თამაშში მანუტე ბოლიმ 16-ჯერ დააფარა ნასროლ ბურთს ხელი და მას მერე იგი „როდ აილენდ ბულსის" კალათის სამიდარ დამცველად იქცა.

„ჩვენს გუნდში ფიზიკურად კარგად განვითარებული ბიჭები არიან, რომლებიც ხშირად უადგილოდაც კი იყენებენ თავიანთ ძალას, მაგრამ სწორედ ასეთ ბრძოლებში გამოიწრთობა მანუტე" — ამბობდა „როდ აილენდ ბულსის" მწვრთნელი და მენეჯერი კევინ სტეკომი.

„მილუოკი ბაქსის" მწვრთნელმა, „ბოსტონ სელტიკსის" ყოფილმა მოთამაშემ დონ ნელსონმა, რომელიც სპეციალურად ჩავიდა ნიუპორტში მანუტე ბოლის სანახავად, აღნიშნა: „მე 23 წელი ვითამაშე კალათბურთი, აქედან სამი წელი ბილ რასელის გვერდით. თავად განსაჯეთ: თუ რასელი თითო თამაშში 5-6-ჯერ აფარებდა ხოლმე ბურთს ხელს, ეს ყმაწვილი ამას საშუალოდ 13-ჯერ აკეთებს, მაგრამ დაელაპარაკებით თუ არა, მიხვდებით, რომ მართლაც კარგა ხანი ყოფილა ჯუნგლებში".

მანუტე ბოლის ქცევებიც უცნაური აქვს. მაგალითად, ქუჩაში სიარულს მიუჩვეველი, იგი ყველა შემხვედრს ბუშმენთა ენაზე რაღაცას ეუბნება. ვერც ხუმრობას ვერ უგებენ თანაგუნდელები, მაგრამ მას ეს არ აღელვებს. აი, მისი ფარისაკენ წამოსული მეტოქის დანახვისას კი ძალიან ბრაზდება.



„დალას მავერიკის" გუნდის მწვრთნელმა დიკ მოტტამ თქვა: „ჩემი ბიჭებიდან ვინმეს რომ დაეტაკოს, ასე მგონია დაიმსხვრევა. ფეხი აქა აქვს, ხელი კი სადღაც შორს".

მანუტე ბოლი მართლაც უჩვეულო ადამიანია. აბიჯებს 3 მეტრზე! აუხტომლად რომ ბურთს კალათში დებს, ეს არაფერი, შეუძლია კალათის ქვეშ დადგეს, ხელები გაშალოს და ფარის ორივე კიდეს მისწვდეს. მისი განმკლავი 2,5 მეტრს აღწევს, მაგრამ იწონის მხოლოდ 86 კილოგრამს.

მიუხედავად ასეთი მონაცემებისა, პროფესიონალურ კალათბურთში მანუტე ბოლიმ მისი ყოფილი თანაგუნდელის სპად უებისგან განსხვავებით, ჯერჯერობით თვალსაჩინო წარმატებებს ვერ მიაღწია, ასე რომ, ნბა-ს ახალწვეულებმა — ყველაზე მაღალმა და ყველაზე დაბალმა, თავიანთი განსხვავებული თამაშით სპეციალისტებს საფიქრალი გაუჩინეს — ვითომ ყველაფერს სიმაღლე წყვეტს კალათბურთში?

ცნობისათვის: გასული წლის საუკეთესო ახალწვეულის პრიზი (ამ ჯილდოს ყოველწლიურად ანიჭებენ ნბა-ში) დაისაკუთრა „ინდიანა პეისერსის" ფორვარდმა, 202 სმ სიმაღლის ჩაკ პერსონმა.

„მანუტე ბოლი თითქოს ყველგან იყო", იხსენებს სპად უები. „ვარჯიშზე რომ მივდიოდი, იქ დამხვდებოდა, იქიდან თამაშზე წავიდოდი და იქაც დამასწრებდა". დიახ, მანუტე ჩქარა კი დადის, მაგრამ მოედანზე ზანტად მოქმედებს, ერთ ცრუ მოძრაობასაც არ აკეთებს, დგას და ელის მოწინააღმდეგეს, ელის ბურთს და ალბათ თავის ჟამს, რომელიც ჯერ არ დამდგარა.

**დავით იოსავაშვილი.**

# ოთარ ჯებაშვილი



მოულოდნელად გარდაიცვალა ფიზიკური კულტურისა და სპორტის გამოცდილი, ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში ოთარ დანიელის ძე ჯებაშვილი.

საინტერესო, სპორტული საქმიანობით აღსავსე გზა განვლო ოთარ ჯებაშვილმა, ყველგან, სადაც კი მუშაობდა, დამსახურებული ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა. იგი 1933 წელს დაიბადა თბილისში. სწავლობდა მაშინდელ ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლაში, თამაშობდა თბილისის სხვადასხვა გუნდში, 1950 წლიდან კი ხელი მოკიდა მსაჯობას. 1965 წლამდე ემსახურებოდა საკავშირო საფეხბურთო შეჯიბრებებს, 1956 წელს მიენიჭა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება.

1958 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი და მწვრთნელად დაიწყო მუშაობა თბილისის სახალხო განათლების სპეციალიზებულ საფეხბურთო სპორტსკოლაში.

1965-1977 წლებში ო. ჯებაშვილი დააწინაურეს რუსთავის სპორტკომიტეტის თავმჯდომარედ, სადაც დიდი ღვაწლი გასწია მეტალურგთა ქალაქში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის. 1977-1978 წლებში მუშაობდა საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, შემდეგ კი ქ. თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, სიცოცხლის ბოლო დღემდე კი სათავეში ედგა საქართველოს სპორტსახკომის სპორტის რეზერვებთან მუშაობის განყოფილებას. სკკპ წევრი იყო 1963 წლიდან.

ოთარ ჯებაშვილი მუდამ გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგული, პატიოსანი დამოკიდებულებით, უნარიანად ასრულებდა მასზე დაკისრებულ საქმეს. ეს გულმართალი, კარგი ადამიანი, არ დაავიწყდება არავის, ვისაც კი ოდესმე უმუშავია მასთან.

**საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი.**

## კაცმა არ იცის, რა მოხდება

მიიღებენ თუ არა მონაწილეობას პროფესიონალი ჩოგბურთელები ოლიმპიადაში, ეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტამბულის სესიამ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ უცხოეთის სპორტულ მიმომხილველებს უფრო ის აინტერესებთ, შეძლებენ თუ არა პროფესიონალი ჩოგბურთელები ოლიმპიური წესების დაცვას.

წესებში კი მითითებულია, რომ სპორტსმენებმა ოლიმპიურ სოფელში სხვებთან ერთად უნდა იცხოვრონ, რეკლამა არ უნდა გაუწიონ სხვადასხვა ფირმის სპორტულ ინვენტარს, არ უნდა ჰყავდეთ მენეჯერები, აგენტები, უნდა გაიარონ დოპინგ-კომისია და, საერთოდ, დაემორჩილონ იმ წესებს, რომელსაც ოლიმპიური ქარტია თვალის ჩინივით უფრთხილდება.

ერთი სიტყვით, ეს ახირება (თუ იგი დადებითად გადაწყდა) ბევრ დამატებით სირთულეებს წარმოშობს.

**რედაქტორი თ. გაჩეჩილაძე.**

ჩვენი მისამართი: წერილებისათვის — 380096. თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები: ხაზიდან — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზატური კორპუსი: ხოშარაული, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06838